Accurate and up-to-date forest mapping is a cornerstone of sustainable forest management and the broader study of natural ecosystems, particularly under the pressures of modern climate change. Forest ecosystems play a critical role in maintaining biodiversity, regulating hydrological cycles, and sequestering carbon; thus, understanding their spatial distribution and dynamics is essential for sustainable use and conservation planning. In Georgia—a mountainous country characterized by diverse landscapes and complex topography—automated forest mapping remains both a challenge and a necessity. Steep terrain, varying forest density, and microclimatic conditions complicate the accuracy of remote sensing–based classifications, demanding advanced and adaptable approaches. The main objective of this research is to assess the efficiency and limitations of different automated forest mapping methods using multi-source remote sensing data and geographic information systems (GIS). Several representative study areas across Georgia were selected to capture diverse environmental and geomorphological conditions. The study integrates medium- and high-resolution satellite imagery, including Sentinel-2 MSI and PlanetScope, complemented by visual data validation from Google Earth and field reference points. Sentinel-2 imagery, with its 10–20 m spatial resolution and wide spectral range, was used as the main dataset for forest classification, while PlanetScope imagery (3–5 m resolution) served to refine mapping accuracy and validate the spatial detail of classified areas. Various classification algorithms were applied and compared in ArcGIS and Google Earth Engine (GEE) environments, including supervised and unsupervised methods such as Maximum Likelihood, ISO Cluster, and Principal Component Analysis (PCA). The use of GEE allowed for cloud-based processing of large datasets and facilitated rapid analysis of temporal changes in forest cover. Results from automated classifications were validated against ground control points and high-resolution imagery, providing insight into the accuracy and suitability of each method across different terrain types. Comparative analysis revealed that the classification accuracy significantly depends on topographic complexity and image resolution. Sentinel-2–based classifications performed well in lowland and moderately rugged areas, while PlanetScope data improved the delineation of forest boundaries in mountainous regions where spectral confusion and shadow effects are more pronounced. The combination of these datasets, processed in both ArcGIS and GEE, demonstrated an effective workflow for large-scale, semi-automated forest mapping adaptable to varying landscape conditions. The findings highlight both the efficiency and the limitations of commonly used remote sensing methods in the context of automated forest mapping. By identifying the most suitable classification approaches for specific terrain types, this study provides a methodological framework for improving the accuracy and consistency of forest monitoring in Georgia and similar mountainous regions. Ultimately, such advancements support sustainable forest ecosystem management and contribute to the broader understanding of how forest cover responds to environmental and climatic changes.

ნატანის ჩამონადენის გაანგარიშება მდინარე მტკვარზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით

ალავერდაშვილი მ.* **, კერესელიძე დ.*, ბრეგვაძე გ.*, ტრაპაიძე ვ.* **, ცინცაძე ნ.* **

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი*

საკვანძო სიტყვები: ნატანის ჩამონადენი, ენერგეტიკული პრინციპი, მდინარე მტკვარი;

ნატანის ჩამონადენის გაანგარიშება ჰიდროლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია, მიუხედავად იმისა რომ ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი შრომა არსებობს, საკითხი მაინც არ არის გადაწყვეტილი სასურველ დონემდე. ჩვენს მიერ მყარი მასალის გაანგარიშებებისას გამოყენებულ იქნა იქნა ე.წ. “ენერგეტიკული პრინციპი“, ხოლო კვლევის არეალად აღებული გვქვს მდინარე მტკვრის მონაკვეთი სოფ. ძეგვთან. ნატანის ჩამონადენის გაანგარიშების აღნიშნული მეთოდოლოგია შესაძლებლობას გვაძლევს არა მარტო წმინდა მეცნიერული კვლევისა, არამედ დიდია მისი პერსექტივა პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მითუმეტეს მდინარე მტკვრისათვის, რომელზეც დაგეგმილია მნიშვნელოვანი ჰიდროტექნიკური ნაგებობების და მათ შორის წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა. ასევე გაანგარიშებული გვაქვს ნატანის ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება, რომელიც მდინარის რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტს წარმოადგენს.

ქ. ქუთაისის ატმოსფერული ჰაერის მიკროაეროზოლებით დაბინძურების კვლევა ექსპერიმენტული გაზომვებით და რიცხვითი მოდელირებით მაღალი გარჩევადობის ბადის გამოყენებით

ალექსანდრე სურმავა* **, ნათია გიგაური*, ვეფხია კუხალაშვილი**, ლიანა ინჭკირველი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი,

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ.ნოდიაშვილის გეოფიზიკის ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: ატმოსფერო, დაბინძურება, PM2.5 და PM10, ფონური ქარი, მოდელირება

ნაშრომში შესწავლილია ქალაქ ქუთაისის ატმოსფეროში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე გაფრქეული მიკროაეროზოლების PM2.5 და PM10 გავრცელებისა და დაგროვების პრობლემა. კვლევისათვის გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ოფიციალური მონაცემები, ექსპერიმენტული გაზომვების შედეგები და რიცხვითი მოდელირების მეთოდი. მოცემულია ატმოსფეროში პასიური ინგრედიენტის გადატანა - დიფუზიის მათემატიკური მოდელი და რიცხვითი ინტეგრირების ალგორითმი. გაანალიზებულია მოდელის რეალიზაციის შედეგები. შესწავლილია ქალაქ ქუთაისის ატმოსფეროში PM2.5 და PM10-ის გავრცელება სხვადასხვა მიმართულებისა და სიძლიერის ფონური ქარის დროს. გაკეთებულია დასკვნა, რომ ქალაქ ქუთაისის ატმოსფეროში PM2.5 ნაწილაკების კონცენტრაციები, როგორც წესი, ნაკლებია PM10-ის კონცენტრაციებზე, მაგრამ მათი ცვლილების მრუდის ხასიათი ერთნაირია. შესწავლილია PM ნაწილაკების კონცენტრაციების საათობრივი ცვლილების ტრენდი. ნაჩვენებია, რომ ქუთაისის ატმოსფეროს PM ნაწილაკებით დაბინძურებაში ძირითადი წვლილი შეაქვს ავტოტრანსპორტს და სამშენებლო ინდუსტრიას.

რიცხვითი მოდელირებით მიღებულია ქ. ქუთაისის მიდამოებში მიწისპირა ლოკალური ქარის სიჩქარის ველი. ნაჩვენებია, რომ რელიეფის ზემოქმედება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენასა და თავისუფალ ატმოსფეროში არსებულ ოთხი ძირითადი ტიპის ფონურ დინებაზე წარმოშობს ლოკალურ ანტიციკლონურ გრიგალებს. ანტიციკლონების ცენტრების მდებარეობა დამოკიდებულია ფონური ქარის მიმართულებაზე. ფორმირებული ქარის სიჩქარის ველი განსაზღვრავს მიკროაეროზოლის სივრცულ განაწილებასა და დაბინძურების დონეს. მაქსიმალური კონცენტრაციები მიღებულია 6-7 სთის და 18-21 სთ-ის, მინიმალური კონცენტრაციები კი 0-4 სთ და 14-16 სთ-ის ინტერვალებში. აღნიშნული ეფექტი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ატმოსფეროს მიწისპირა ფენის თერმიული მდგრადობის დროში ცვლილებასთან.

ნაშრომში წარმოდგენილი მოდელი შეიძლება წარმატებით იყოს გამოყენებული რთული რელიეფის ტერიტორიებზე ატმოსფეროს დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების თეორიული შესწავლისათვის.

მადლიერების გამოხატვა. სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-22 -4765 გრანტის ფარგლებში.

ქ. ბათუმის ატმოსფეროს PM_{2.5} და PM₁₀-ით დაბინძურების შეფასება ოპერატიული და ნატურული დაკვირვების მონაცემების მიხედვით

ა. სურმავა* **, ვ. კუხალაშვილი**, ლ. ინწკირველი*, ნ. გიგაური*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

** ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიაშვილის სახ. გეოფიზიკის
ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: PM მიკრო აეროზოლები, კონცენტრაცია, ატმოსფერო

ჰაერში მიკრო მაწილაკების PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციების განსაზღვრა და სივრცული განაწილების შესწავლა ატმოსფეროს დაბინძურების მონიტორინგის აქტიურ პრობლემას წარმოადგენს. მოკროაეროზოლები თავისუფლად აღწევენ ადამიანთა შინაგან ორგანოებში, იწვევენ გულ-სისხლძარღვთა, სხვა რიგ მძიმე დაავადებებს და თვით სიკვდილსაც კი. პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო - გამანჯანსაღებელი ცენტრებისათვის - ისეთებისთვის, როგორიცაა ქ. ბათუმი. ქ. ბათუმში PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციებზე რეგულარული ოპერატიული დაკვირვება წარმოებს ორ სადამკვირვებლო პუნქტში. ოპერატიული მონაცემების ანალიზის თანახმად მიღებულია, რომ 2025 წლის იანვარ - ნოემბრის განმავლობაში

ტ. აბუსერიძის (აბ) ქუჩაზე მდებარე სადამკვირვებლო პუნქტში PM_{2.5} საშუალო დღიური კონცენტრაციის მნიშვნელობები იცვლებოდა 1.9 - დან 58.0 მკგ/მ³ - მდე, ცენტრალური პარკის (ცპ) მიდამოებში - 0.1-დან - 54.6 მკგ/მ³-მდე. PM₁₀-ის კონცენტრაციის მნიშვნელობები იცვლებოდა 5.0 -დან 104.0 მკგ/მ³-მდე (აბ) და 1.5 - 104.5 მკგ/მ³-მდე (ცპ). PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციების ზღვ-ზე გადაჭარბებას ადგილი ქონდა 23 და 32-ჯერ (აბ)-ის, 23 და 22 (ცპ)-ის მიდამოებში. კონცენტრაციათა შეფარდება PM₁₀/PM_{2.5} იცვლება 1.0 და 4.2-ს შორის. აღსანიშნავია PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციებს შორის მაღალი კორელაციის არსებობა. კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები ორივე სადამკვირვებლო პუნქტში მხოლოდ 2-2 ჯერ იყო 0.75 და 0.8 -ს შორის, დანარჩენ შემთხვევებში ისინი ≥ 0.9 -ის. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქ. ბათუმის ატმოსფერული ჰაერის PM-ით დაბინძურება ხორციელდება ერთი და იმავე წყაროს, სავარაუდოდ, ავტოტრანსპორტის მიერ.

2025 წლის ზაფხულის სეზონში, ქალაქისა მისი შემოგარენის ტერიტორიაზე 50 პუნქტში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ მიკრო ნაწილაკების საშუალო დღიური კონცენტრაციები ძირითადად დასაშვები ნორმის ფარგლებშია. ჰაერის ხარისხი შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო და კარგი. კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე გადაჭარბებას ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეულ პუნქტში სადაც, მიმდინარეობდა საგზაო-სარემონტო და სხვა სამრეწველო სამუშაოები.

მადლიერების გამოხატვა. სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-24 -223 გრანტის ფარგლებში.

მიკროკლიმატის სამეცნიერო მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში

ნანი აფციაური

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და
ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.
naninana555@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მიკროკლიმატი, კულტურები, მცენარეთა დაცვა.

მიკროკლიმატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით ისეთ კლიმატურ მრავალფეროვნებაში, როგორიც ქობულეთის ტერიტორიაა. ამ მცირე მასშტაბის კლიმატის ვარიაციების გაგება ფერმერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მათ შეუძლიათ მნიშვნელოვნად იმოქმედონ აგროკულტურების არჩევანზე, რგვისა და თესვის გრაფიკზე, მავნებელ-დაავადებების მართვასა და საერთო მოსავლიანობაზე.

ვინაიდან, ამინდის პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მოკლე დისტანციებზე, მიკროკლიმატის ამოცნობა და მასთან ადაპტაცია გავლენას ახდენს ვეგეტაციის სეზონის ხანგრძლივობასა და ხარისხზე. მიკროკლიმატის ბუნებრივ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანით, ფერმერებს შეუძლიათ შეამცირონ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ეს მოიცავს წყლის მოხმარების მინიმალურ-ზაციას, ნახშირბადის კვალის შემცირებას და ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას.

ისეთი კულტურები, რომლებიც სპეციფიკურ კლიმატურ პირობებს მოითხოვს, როგორიცაა ხილის, მწვანე ხილის ან სპეციალური ბოსტნეულის გარკვეული სახეობები, შეიძლება მოჰყავდეთ შესაფერისი მიკროკლიმატის მქონე ადგილებში, რაც ხშირად მათი უნიკალური თვისებების გამო უფრო მაღალ საბაზრო ფასებს იძლევა.

ბიომრავალფეროვნებისა და ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტი 1961 წლიდან დღემდე სწავლობს ადგილობრივ ატმოსფერულ ზონას სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებებისგან დაცვისა და მათი მოსავლიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ადგილის დეტალური მეტეოროლოგიის (ტემპერატურა, ტენიანობა, მოსული ნალექების რაოდენობა) სრული ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მეცნიერების და სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის.

2016 წლიდან განახლდა სადემონსტრაციო სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ხეხილის ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის შესწავლა განსხვავებულ კლიმატურ პირობებში. ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებულ მეტეოროლოგიური ადგილი 5 წლის (1916-2020წ.წ) მონაცემების დამუშავების შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ტემპერატურა მერყეობს 13⁰-16⁰C, ტენიანობა 50-80%, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1550-2500⁰C, კრიტიკული ტემპერატურული მინიმუმი -14⁰C, და მაქსიმუმი 37⁰C, მოსული ნალექების რაოდენობა მერყეობს 1150-2940 მმ.-მდე, ნალექების დღეთა რიცხვი შეადგენს 199-ს, აქედან 98 დღე 5 მმ-ზე მეტია.

მიკროკლიმატის სამეცნიერო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაკუთრებით მოქმედებს ადგილობრივ ეკოლოგიურ პროცესებზე, ბიომრავალფეროვნებასა და ორგანიზმების გადარჩენაზე, რაც გავლენას ახდენს მცენარეთა ზრდიდან და ცხოველების ქცევიდან დაწყებული, ეკოსისტემის ფუნქციებით დამთავრებული, როგორიცაა ბიოგეოქიმიური ციკლები და ქმნის ჩარჩოს კლიმატის ცვლილების გავლენის გაგების, პროგნოზირებისა და კონსერვაციის სტრატეგიების შემუშავებისთვის. მიკროკლიმატის კონცეფცია გადამწყვეტია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკოლოგია და გარემოსდაცვითი მეცნიერება, რადგან ის უფრო დეტალურ და ზუსტ სურათს იძლევა ორგანიზმების შეგუების პირობებზე.

რადონის გაზომვის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტები

გ.გრებენჩუკი

ივ. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი,
თბილისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ნაჩვენებია, რომ რადიოაქტიური აირი რადონის კონცენტრაციის გაზომვა და აღწერა მისი აქტივობის ერთეულებში - ბეკერელებში (Becquerels) იწვევს აღნიშნული ინდიკატორის ყალბ (გაოთხმაგებულ) მნიშვნელობას.

რადიაციული დაცვის საერთაშორისო კომისიის (ICRP-ს) მიერ მიღებული მეთოდოლოგიის საფუძველზე რადონი იზომება მისი აქტივობის მიხედვით ბეკერელებში.

ამავე დროს, რადონის აქტივობის განსაზღვრისას ჩვეულებრივად იგულისხმება და ცხადდება, რომ ყველა დაშლა ეკუთვნის სწორედ რადონს, მაგრამ ამისი კონტროლი ასეთ რეჟიმში შეუძლებელია, რადგანაც ბეკერელები ვერ მიუთითებენ მათ შთამომავლობაზე.

აღნიშნული ვითარება შეიძლება იქნეს დამტკიცებული ან უარყოფილი მხოლოდ წარმოშობილი დაშლის შედეგად ალფა-ნაწილაკების ენერგიების სპექტრალური ანალიზის შედეგად. მეორე მხრივ, კარგად არის ცნობილი, რომ რადონის ატომის ბირთვის დაშლა არის კასკადური პროცესი, რომელიც შეიცავს ოთხი ალფა-ნაწილაკის, ოთხი ელექტრონის და ოთხი გამმა-კვანტის მიმდევრობით გენერაციას.

თუ ვივარაუდებთ, რომ რადონის კასკადური დაშლის ძირითადი პროცესები დაკავშირებული ალფა-ნაწილაკების გენერაციასთან, არის ზუსტად ის, რომლებიც ქმნიან ბეკერელებს, მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ ერთადერთი მათგანი, ყველაზე პირველი, მიეკუთვნება თვით რადონს, სხვა დანარჩენი სამი კი - მის პროგენებს, ანუ პოლონიუმ Po218-ს, პოლონიუმ Po214-ს და Po210, ანუ არა ყველა ალფა-ნაწილაკი, რომელიც ბადებს იმპულსებს აქტივობის რეგისტრაციის ხელსაწყოში, გენეტიკურად მიეკუთვნება თვით რადონს.

ამის გარდა, თუ ჩვენ დავანებებთ თავს კალკულაციას ბეკერელებში და გადავინაცვლებთ ალფა-ნაწილაკების აქტივირებულ ნახშირზე დაგროვების მეთოდისკენ, შედეგი იქნება ზუსტად იგივე - მხოლოდ ერთი ყოველი ოთხეული ალფა-ნაწილაკისაგან იქნება პასუხისმგებელი თვით რადონის აქტივობაზე და, ე.ი., გარემოში მის კონცენტრაციაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ემისიებთან დაკავშირებული β და γ დაშლები აგრეთვე იქნებიან მიღებული მხედველობაში ბეკერელების სახით, ეს გარემოება ყალბად (ანუ შეცდომით) კიდევ უფრო გაზრდის რადონის აქტივობის ინდექსს. აღნიშნულ გარემოებას შეუძლია განაპირობოს სერიოზული შეცდომები რადონის დაშლილი ატომების რაოდენობაში და, სათანადოდ, ბიოლოგიური ობიექტების დასახივების ენერგიაზე და მათ მიერ დაგროვილი დაშლის პროდუქტების რაოდენობაზე.

რეალურად შთანთქმული დოზის და დაგროვილი დაშლის პროდუქტების რაოდენობრივი დადგენა ბიოლოგიურ ობიექტში შესაძლებელია მხოლოდ რადიოაქტიური დაშლის კარგად ცნობილი განტოლების საფუძველზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ამჟამად მიღებული რადონის კონცენტრაციის ბეკერელებში შეფასების მეთოდი არის არაკორექტული და ვერ იძლევა მისი ბუნებრივ გარემოში გავრცელებისა და, სათანადოდ, ცოცხალი ორგანიზმებისათვის საფრთხის შეფასების საშუალებას.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილება

ბასილაშვილი ც.ზ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: კლიმატური პროგნოზები, წყლის ხარჯების შემცირება, ჰიდროლოგიური საგუშაგოები.

მდინარეებში მიედინება მუდმივ განახლებადი მტკნარი წყალი, რომელიც აუცილებელია როგორც საყოფაცხოვრებო, ისე მრეწველობის ყველა დარგისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მდინარეთა წყლის რესურსები დასავლეთ საქართველოში 48 კმ³-ს და აღმოსავლეთ საქართველოში 13,45 კმ³-ს შეადგენს.

მდინარეთა სანაპირო ზონებში ყველა სახის ნაგებობის, გზების, ხიდების, ჰესების, სარწყავი არხების პროექტირებისა და ექსპლუატაციის დროს საჭიროა მდინარეთა წყლიანობის დაზუსტებული მონაცემები. გამოქვეყნებულია 1981 წლამდე არსებული ყოველწლიური დაკვირვებათა მონაცემები წყლის ხარჯებისა საქართველოს მდინარეთა 182 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე. 90-იანი წლების შემდეგ საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ 20 საგუშაგო, სადაც ავტომატურად იზომება წყლის დონეები.

დასავლეთ საქართველოს 21 საგუშაგოზე არსებული 1919-2023 წლების და აღმოსავლეთ საქართველოს 22 საგუშაგოზე 1924-2023 წლების მონაცემების სათანადო სტატისტიკური დამუშავებით, მიღებულია მდინარეთა წყლის ხარჯების მრავალწლიური მახასიათებლები, აგრეთვე ცალკეული ათწლეულების საშუალო მნიშვნელობები და მათი სხვაობები ყოველ შემდეგ ათწლეულს შორის.

დასავლეთ საქართველოში ეს სხვაობები უმეტესად უარყოფითია, ე.ი. მიმდინარეობდა მდინარეთა წყლიანობის კლება. აქ მხოლოდ 1981-1990 ათწლეულში ყველა საგუშაგოზე დაფიქსირდა წყლიანობის მატება, რაც მაშინ უზენაესიანობითა და მყინვარების დნობით იყო განპირობებული. კლიმატური პროგნოზების მიხედვით, 1971-2000 წლებთან შედარებით, ტემპერატურა გაიზარდება 1,6-3,7 °C-ს ფარგლებში, ნალექები კი მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ზონებში გაიზარდება 8-10 %-ით. მის აღმოსავლეთით სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექები შემცირდება 4-15 %-ით. ამის შესაბამისად მოსალოდნელია მდინარეთა წყლიანობის შემცირება. მყინვარები უკვე ისეა შემცირებული, რომ მათი დნობა ვერ მოახდენს მდინარეთა წყლიანობის მნიშვნელოვან მატებას. მხოლოდ ზღვისპირა ზონაში ნალექების მატება და აგრეთვე გაზრდილი აორთქლების კონდენსირება თავსხმა წვიმების სახით, გამოიწვევს ზოგჯერ კატასტროფულ წყალმოვარდნებს და სანაპიროების დეგრადირებას.

აღმოსავლეთ საქართველოში მდინარეთა წყლის ხარჯების სხვაობები ათწლეულების მიხედვით, დროთა განმავლობაში ხან იზრდებოდა, ხან კი მცირდებოდა. მხოლოდ 1971-1990 წლებში ისინი მატულობდა, ბოლო 2011-2020 წლებში კი, ყველა საგუშაგოზე აღირიცხა წყლიანობის შემცირება. პროგნოზების მიხედვით მომავალში ტემპერატურა აქ გაიზარდება 3-4 °C-ით, ნალექები კი შემცირდება 9-16 %-ით და მოიმატებს გვალვიანობა. შედეგად მოიმატებს აორთქლება, მოხდება ნიადაგების გამოშრობა და მოსალოდნელია მიწისქვეშა წყლებისა და მდინარეთა წყლიანობის შემცირება, რაც მეტად უარყოფითად აისახება გარემოზე, დაიწყება გაუდაბნოების პროცესის განვითარება, წყლის რესურსები არ იქნება საკმარისი სარწყავად, დაეცემა მოსავლიანობა და მოსახლეობის კეთილდღეობა. ეს რომ არ მოხდეს, წყლის რესურსების დაზოგვის მიზნით, აუცილებელია წყლის მომჭირნეობითი მოხმარება და მათი შევსებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და დროული განხორციელება.

Environmental Assessment of River Deltas in the Southeastern Black Sea Coastal Zone

Kodua M.*, Starodubtsev V.M.*, Tebidze M.***

**Department of Hydro-engineering, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia.*

****Department of Agrosphere Ecology and Environmental Control, National University of Life and Environmental
Sciences of Ukraine, Kyiv.*

E-mail: m.kodua@gtu.ge; vmstarodubtsev3@gmail.com; tebidze.mari22@gtu.ge.

Keywords: Black Sea basin, coastal zone, river delta.

This study examines the impact of flow regulation and economic activity on the river deltas of the southeastern Black Sea basin. These processes, together with modern climate change, are having significant impacts on natural resources and land-use patterns. A comparative analysis of the basin's deltas highlights the scale and specific characteristics of these transformations. The research methodology combines cartographic analysis, GIS modeling, and field investigations. Delta evolution is shaped by sediment transport, river discharge, and land-use dynamics. Erosional processes occur in areas where sediment deposition interacts with coastal currents and wave action. The construction of reservoirs has markedly reduced both water discharge and sediment supply to the coastal zone. The findings provide valuable insights for infrastructure planning, agriculture, recreation, wetland protection, and the sustainable development of human settlements.

კონვექციური პროცესების მეტეოროლოგიური ანალიზი ERA5 რეანალიზაციის მონაცემების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოსთვის

ინგა სამხარაძე, მარიკა ტატიშვილი, ნანული ზოტიკიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
i.samkharadze@gtu.ge

საკვანძო სიტყვები: კონვექცია, თერმოდინამიკური ინდექსები, ERA5, არამდგრადობა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით კახეთში აღინიშნება ძლიერი კონვექციური პროცესები, რაც განაპირობებს ლოკალურად სეტყვისა და ძლიერი წვიმის ღრუბლების ფორმირებას. წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება აღნიშნულ ტერიტორიაზე შერჩეული დღეებისათვის ERA5 რეანალიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით ატმოსფეროს თერმოდინამიკური ინდექსების შესწავლას სივრცითი ანალიზის მეთოდებით. ანალიზი მოიცავდა კონვექციურ ინდექსებს (CAPE, TT, K-index და სხვა), ასევე აღნიშნული დღეებისათვის განხილული იყო ქარის ვექტორები 500 მბ და 700 მბ დონეებზე. რამდენიმე დღის ანალიზმა აჩვენა სივრცითი და დროითი ვარიაციები, რომლებიც განსაზღვრავს კონვექციის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს. კვლევამ დაადასტურა რომ კონვექციური ინდექსები განხილული დღეებისათვის მნიშვნელოვნად არის მომატებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი არამდგრადობის ენერგია, რომლის მნიშვნელობაც გადამწყვეტ როლს თამაშობს კონვექციური პროცესების გაძლიერებაში. ატმოსფეროს სხვადასხვა სიმაღლეზე ქარის მიმართულებისა და რიცხვითი მნიშვნელობების განხილვით დადგინდა რომ წარმოდგენილ თერმოდინამიკურ ინდექსებთან ერთად ქარის ველი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ვერტიკალურად განვითარებული ღრუბლის ფორმირების შემდგომ ეტაპებს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ აღწერილი სინოპტიკური და თერმოდინამიკური პირობების ერთობლიობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კონვექციური პროცესების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული მოვლენების წინაპირობების უკეთ შესწავლა მნიშვნელოვანია მათი პროგნოზირებისა და რისკის შემცირებისათვის.

Nature Based Solutions in Disaster Risk Reduction and Climate Resilience

**Marika Tatishvili* **, Inga Samkharadze*, Khatuna Elbakidze*,
Ana Palavandishvili* **, Eka Khutsishvili***

** Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

*** Vakhushti Bagrationi Institute of Geography of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
m.tatishvili@gtu.ge*

Keywords: Climate Change, Natural Hazards, Statistical Analysis, Structural Data, Early Warning.

Climate change is one of the most significant global challenges that need to be managed. To resolve any of the climate change related challenges, it is essential to integrate knowledge across a range of systems, consider the complex and uncertain nature of the individual systems and their interrelationships. Hydro-meteorological hazards such as severe floods, storm surges, landslides, avalanches, hail, windstorms, droughts, etc. are expected become more frequent and severe due to climate change, degradation of ecosystems, population growth and urbanization. Innovative solutions in which natural processes and ecosystems help solve different types of societal and environmental challenges – so-called Nature-Based Solutions (NBS) - have emerged as effective means to respond to such challenges. Understanding of the natural environment is increasingly important as society struggles to respond to the implications of a changing climate and anthropogenic pressures on finite natural resources, and their impacts on water, energy and food security, infrastructure, human health, natural hazards, and biodiversity. This is also a major cross-disciplinary challenge involving, meteorologists, climatologists, ecologists, hydrologists, soil scientists, biologists, chemists, physicists, and statisticians. With the need to influence policy and derive well-founded adaptation and mitigation strategies, there is also an increasing emphasis on social science and communication of science. The complexity of climate issues requires adaptive strategies for public policy, actions to incite social behavior, and the development of regulatory and market-simulating responses to economic life. To meet this complex societal need, research has focused on understanding the causes of climate change, the development of predictive models, and mitigation solutions, as well as the exploration of opportunities to shape social attitudes.

Global Monitoring for Environment and Security (GMES) initiative of the European Commission and the European Space Agency (ESA) is actively supporting the use of satellite technology in disaster management, with projects such as PREVIEW (Prevention, Information and Early Warning pre-operational services to support the management of risks), LIMES (Land and Sea Integrated Monitoring for Environment and Security), GMOSS (Global Monitoring for Security and Stability), SAFER (Services and Applications For Emergency Response), and GMOSAIC. The United Nations Platform for Space-based Information for Disaster Management and Emergency Response (UN-SPIDER, 2010) has been established by the UN to ensure that all countries have access to and develop the capacity to use space-based information to support the disaster management cycle. They are working on a space application matrix that will provide the satellite-based approaches for each type of hazard and each phase of the disaster management cycle.

NBS can contribute to the following multiscale interconnected challenges: (a) social dimension of sustainable (b) economic development and (c) positive environmental impacts. With regard to environmental benefits, these include air quality regulation, climate regulation, natural hazards management, water flow regulation, water purification and waste treatment, erosion regulation, green space management, etc.

სხვადასხვა ფაქტორების გავლენა საწვავის ხარჯზე და გარემოს დაბინძურების ხარისხზე

ვლადიმერ გვეტაძე, ალექსანდრე ლომიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ტოქსიკური ნივთიერებები; საწვავის ხარჯი; მოძრაობის რეჟიმები; გარემო.

ექსპლუატაციის დროს ავტომობილების მიერ ატმოსფეროში გამოყოფილი დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობა პროპორციულია საწვავის ხარჯის. შესაბამისად, საწვავის ეკონომია ნიშნავს ატმოსფეროში ნაკლები რაოდენობის ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფას, რაც სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული.

საყურადღებოა ავტომობილის აეროდინამიკა. თუ ადრე მსუბუქი ავტომობილის ძარას ფორმა განისაზღვრებოდა პირველ რიგში კომფორტისა და ესთეტიკის მოთხოვნებით, ახლა ეს ფორმა ნაკარნახებია ჰაერის წინააღმდეგობის შემცირების აუცილებლობით, განსაკუთრებით მაღალი სიჩქარეებით მოძრაობის დროს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები მოწმობს, რომ ჰაერის წინააღმდეგობის 10 %-ით შემცირება გვაძლევს საწვავის ეკონომიას 4-5 %-მდე. მთლიანობაში აეროდინამიკის გაუმჯობესებამ შეიძლება უზრუნველყოს საწვავის ხარჯის შემცირება 15 %-მდე.

საწვავის ხარჯზე პირველ ხარისხიდან გავლენას ახდენს ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა. სრულად გამართული ავტომობილი ხარჯავს ნაკლებ საწვავს და ამით უზრუნველყოფს ჰაერის დაბინძურების შემცირებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწვავის მიმწოდებელ აპარატურას და ანთების სისტემას. კვლევებით დადგინდა, რომ თუნდაც ანთების ერთი სანთლის გაუმართაობა იწვევს საწვავის ხარჯის გაზრდას 15%-მდე, გამაგრებული სითხის ტემპერატურის შემცირება 40°-მდე - ხარჯის მომატებას 10 %-მდე, ანთების წინსწრების კუთხის რეგულატორის გაუმართაობა - 8 %-მდე, წვის კამერაში ნამწვის არსებობა - 7 %-მდე, ერთი მფრქვევანას გაუმართაობა - 25 %-მდე. შესაბამისად ეცემა ძრავის სიმძლავრე.

ქალაქში მოძრაობის პირობებში დროის 30 %-ის განმავლობაში ძრავა მუშაობს უქმ სვლაზე, ხოლო დროის 30 %-ს მუდმივი დატვირთვის პირობებში, დროის 20-25 % მოდის გაქანებაზე, 10-15 % კი - დამუხრუჭებაზე. ამასთან საშუალოდ უქმ სვლაზე ატმოსფეროში გამოიყოფა 5-7 % CO მთლიანი გამონახოლქვიდან. მუდმივი დატვირთვით მოძრაობის შემთხვევაში CO-ს კონცენტრაცია მცირდება - 2%-მდე, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად იზრდება აზოტის ჟანგბულების (NO_x) რაოდენობა უქმ სვლასთან შედარებით (დაახლოებით 30-ჯერ).

ნამუშევარი აირების ტოქსიკურობაზე დიდ გავლენას ახდენს მუშაობის რეჟიმები. ქალაქის პირობებში ჭარბობს დაუმყარებელი რეჟიმები, რომლებიც ხასიათდება სიჩქარის მუდმივი ცვალებადობით. საჰაერო ბასეინის დაბინძურებაზე ასევე გავლენას ახდენს მოძრაობის ინტენსივობა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ოპტიმიზაცია.

დამუხრუჭება-გაქანების რეჟიმები (განსაკუთრებით საცობების და შუქნიშნების შემთხვევაში) ზრდის საწვავის ხარჯს, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოს დაბინძურების ხარისხზე. ამის გათვალისწინებით საწვავის ხარჯის (კგ) გაანგარიშებას ვახდენთ ფორმულით:

$$G_{\text{საერთ}} \approx G_{\text{გარბ}} \cdot (I_1 + I_3) + (G_{\text{შენ}} \cdot t_{\text{შენ}} + G_{\text{უქმ}} \cdot t_{\text{უქმ}} + G_{\text{აჩქ}} \cdot t_{\text{აჩქ}}) \cdot n,$$

სადაც $G_{\text{გარბ}}$ არის საწვავის ხარჯი 1 კმ გარბენზე მუდმივი სიჩქარით მოძრაობის დროს (კგ/კმ); I_1 და I_3 - გადასარბენებზე განვლილი მანძილი; $G_{\text{შენ}}$, $G_{\text{უქმ}}$ და $G_{\text{აჩქ}}$ - საათური ხარჯი შენელების, უქმად დგომის და აჩქარების რეჟიმებზე; $t_{\text{შენ}}$, $t_{\text{უქმ}}$ და $t_{\text{აჩქ}}$ - შენელების, გაჩერების და აჩქარების დროები; n - იძულებითი გაჩერებების რიცხვი.

Hydrological Natural Phenomena Caused by Exogenous Forces in the Mountains

S. Gorgijanidze, G. Jincharadze, N. Kobakhidze, G. Gachechiladze, G. Pipia
Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University
sophiogorgijanidz@gmail.com

Keywords: exogenous, floods, dam, glacier, landslide

The relief of Georgia is characterized by a complex geological structure, which is due to the constant action of endo and exogenous forces on it throughout geological history. Their result is the following natural phenomena that periodically occur in the mountainous environment. Examples of active processes of exogenous forces are: pulsation of glaciers in the mountains, landslides, physical and chemical weathering, erosion and destruction by water. It is necessary to note here the human impact on nature, which mostly ends with negative consequences.

In mountainous regions, the first to be distinguished is the action of glaciers, which over the years played a major role in the formation of the relief of our country. The action of glaciers often had negative consequences. An example of this is the Devdoraki glacier. It was also characterized by the blocking of rivers, the filling of negative forms on the glacier and, depending on climatic conditions, in particular, the occurrence of uncontrollable floods as a result of frequent atmospheric precipitation. Such processes took place in 1776, 1778, 1785, 1808, 1817 and 1832. However, this process is still ongoing. The last glacial flood occurred in 2014. After this event, an early warning system (GEOTEST AG) was installed in the district (Kazbegi Municipality). The system allows for any glacier movements to be warned and the negative consequences of the disaster to be avoided. Unfortunately, a similar process developed on the Buba glacier (2023), when, precisely against the background of exogenous processes and modern climate warming, a rock avalanche collapsed, the stabilization of the glacier was disrupted, and a glacial and unconfined flood in the Buba river valley killed 33 people.

An example of erosion processes is also landslide events, which often block valleys in our country and form damm (exotectonic) lakes. Many examples of their breakthroughs have also been recorded. Such are: Lake Kvedi, Lake Khakhieti, Lake Patsa, etc. In modern times, Lake Khiso (Nashliani) was formed in this way. Which still exists in nature. Fortunately, it has not yet caused a flood.

It is necessary to mention the tragedy in Tbilisi in 2015, when on the night of June 13, as a result of heavy rain, a landslide descended from the mountain slope onto the Tskneti-Samadlo highway section, which blocked the Vere River for a certain period of time. Within a few hours, the water broke through the blockad mass and caused a flash flood. The disaster claimed the lives of 21 people in the capital, destroyed roads, tunnels and houses. After about 2 hours, the river returned to its original bed.

The result of exogenous processes in 2025 is also the nyrgenerate of a dam lake on the Karneba River, when a landslide descended into the river valley during the activation of known geological and geomorphological processes. Fortunately, the valley was immediately cleaned and the necessary works were carried out, as a result of which the expected flood was avoided. Unfortunately, for Georgia, in the context of today's climate warming, it is not easy to eliminate all natural disasters. Therefore, there must always be monitoring, scientific research and observations in mountainous regions, where such processes are common. It is also necessary to inform the local population about the expected natural disasters. This, if not completely, will significantly reduce the negative consequences of disasters for the region.

შუმანის რეზონანსის გამოყენების პერსპექტივები

მკურნალიძე ი., კაპანაძე ნ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: რეზონანსი, ელჭექი, კატასტროფული მოვლენა.

შუმანის რეზონანსის მოვლენას უწოდებენ დედამიწის ზედაპირსა და იონოსფეროს შორის ღრუში ზედაბალსიხშირიან მდგარ ელექტრომაგნიტურ ტალღების წარმოქმნას. ასეთი მდგარი ტალღების წყაროა, უმეტეს შემთხვევაში, ელჭექური განმუხტვები. შუმანის რეზონანსი ეფექტურ ინსტრუმენტად ითვლება გარემოს შესასწავლად. ის გამოიყენება ბუნების სხვადასხვა კატასტროფული მოვლენების ფორმირების აღმოსაჩენად, გლობალური ელჭექური აქტივობის, კლიმატური, ვულკანური და სეისმური პროცესების მონიტორინგისათვის. შესაბამისი გამოთვლითი მეთოდების გამოყენებით ცალსახად განისაზღვრება ელჭექური ზონის კომპაქტური ადგილმდგომარეობა. ამ ზონების გაჩენა მიუთითებს კატასტროფულ მოვლენაზე. შუმანის რეზონანსის გამოყენებით აიხსნება ელჭექური ფენომენების ჯეტების, სპრაიტების და ელფების წარმოქმნა. შუმანის ტალღების სიხშირეების გამოყენებით შექმნილ ხელსაწყოებით ადგენენ ნახშირწყალბადების ადგილმდებარეობას ზღვაში. ეს უნიკალური მოვლენა გამოიყენება დედამიწის იონოსფეროს ქვედა ფენის და ასევე სხვა ციური სხეულების ზონდირებისათვის.

მეცნიერულად დამტკიცებულია შუმანის ტალღების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. განიხილება და იკვლევა სხვადასხვა ალტერნატიული თერაპიული მიდგომები. კვლევებმა აჩვენა, რომ შუმანის სიხშირე 7.83 ჰც ემთხვევა ადამიანის ტვინის ალფა-რიტმებს და ხელს უწყობს რელაქსაციას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და ტვინის ფუნქციების ჰარმონიზაციას. პრაქტიკულად გლობალური შუმანის რეზონანსის ფიქსირებული პარამეტრები გავლენას ახდენს პლანეტის ნებისმიერ მოვლენაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ითვლება ერთ-ერთ ელჭექსაშიშ რეგიონად (ელჭექურ დღეთა საშუალო წლიური რიცხვი 40 აღწევს) და სხვა კლიმატური თუ ბუნებრივი კატასტროფული მოვლენებისაგან (მიწისძვრა, ტყის ხანძარი, წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა და სხვა) არ არის დაცული.

ამრიგად, შუმანის რეზონანსის საფუძველზე შექმნილი ხელსაწყოების გამოყენება სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენების მონიტორინგისათვის და ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის აქტუალური ხდება საქართველოსათვისაც.

წყლის რესურსების მდგრადი გამოყენება და ინტეგრირებული მართვის პერსპექტივები მდინარე იორის აუზში

კაპანაძე ნაილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
knaili1990@gmail.com, n.kapanadze@gtu2021.ge

საკვანძო სიტყვები: წყლის რესურსები, ინტეგრირებული მართვა, მდინარე იორი, ეკოსისტემური დეგრადაცია, ინსტიტუციური კოორდინაცია.

მდინარე იორი წარმოადგენს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ სისტემას, რომლის აუზი მოიცავს როგორც მაღალმთიან, ასევე მშრალი სტეპური კლიმატის ზონებს. აუზი ხასიათდება წყლის რესურსების სეზონური და სივრცითი არათანაბარი განაწილებით, რაც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ზაფხულის პერიოდში და იწვევს წყალმომარაგებისა და სარწყავი მეურნეობის პრობლემებს.

გლობალური კლიმატური ცვლილებები, ატმოსფერული ნალექების რეჟიმის ცვლილება, წყლის რესურსების არაეფექტიანი გამოყენება, მიწათსარგებლობის ინტენსიფიკაცია და ჰიდროტექნიკური ინფრასტრუქტურის მოძველება ზრდის ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს. აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (IWRM), რომელიც აუზური პრინციპის საფუძველზე ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების შეთანხმებას უზრუნველყოფს.

კვლევის მიზანია მდინარე იორის აუზში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის საჭიროების დასაბუთება, არსებული მდგომარეობის ანალიზი და ეფექტური მართვის მიმართულებების განსაზღვრა. არსებული მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ფორმირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ატმოსფერულ ნალექებზე, ხოლო ზაფხულში ჩამონადენი მკვეთრად მცირდება. მოძველებული სარწყავი სისტემები იწვევს წყლის 30–40%-იან დანაკარგს, ხოლო ქვემო დინების მონაკვეთებში შეინიშნება წყლის ხარისხის გაუარესება და ეკოსისტემური დეგრადაცია. პრობლემას ამძაფრებს ინსტიტუციური კოორდინაციის ნაკლებობა.

კვლევის ფარგლებში ხაზგასმულია ინტეგრირებული მართვის ჩარჩოს ჩამოყალიბების, მონიტორინგის სისტემის გაძლიერების, სარწყავი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ეკოლოგიური სტაბილურობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას.

სეტყვიანობის განმაპირობებელი ცირკულაციური პროცესები საქართველოში

კაპანაძე ნაილი, ტატიშვილი მარიკა, მკურნალიძე ირინე, ხუციშვილი ეკატერინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი
knaili1990@gmail.com, n.kapanadze@gtu2021.ge

საკვანძო სიტყვები: ცირკულაციური პროცესები, ცივი ფრონტები, ოროგრაფიული ფაქტორები.

სეტყვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბუნებრივ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენას, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას, ინფრასტრუქტურასა და ეკოსისტემებს. სეტყვიანობის სიხშირე და ინტენსივობა განისაზღვრება მიკრო- და მეზომასშტაბური ატმოსფერული პროცესების კომპლექსური ურთიერთქმედებით, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია სინოპტიკურ ცირკულაციურ პირობებზე. საქართველოს კლიმატურ სისტემაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასავლეთ ცირკულაციის დომინირება, რომელიც განაპირობებს ციკლონური და ფრონტალური სისტემების გადაადგილებას შავი ზღვის რეგიონიდან. **ცივი ფრონტების გადაადგილება** დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც იწვევს ვერტიკალურ დინებებს და ატმოსფერულ არასტაბილურობას, რაც ხელს უწყობს ძლიერ კონვექციას და სეტყვის ღრუბელთა განვითარებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ციკლონებთან ერთად ხშირად იკვეთება **თბილი და ცივი ჰაერის მასები**, რაც ქმნის ძლიერ ტემპერატურულ კონტრასტს ზედაპირზე და მაღალი ენერგიის მქონე არამდგრად ატმოსფერულ ფენას. სეტყვის ღრუბლების განვითარება საქართველოს პირობებში უმეტესად ასოცირდება მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის ფონზე განვითარებულ ძლიერ კონვექციურ აქტივობასთან. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს მაისიდან ივლისამდე პერიოდში, რაც უკავშირდება მზის რადიაციის გაზრდილ ინსოლაციას და ზედაპირული გათბობის პიკს.

საქართველოს კომპლექსური რელიეფი - კერძოდ, კავკასიონის ქედი და შიდა ქართლისა და კახეთის ველები - ქმნის პირობებს ოროგრაფიული აწევისათვის, რაც აძლიერებს კონვექციურ პროცესებს. მზე დღის განმავლობაში აცხუნებს მთების ფერდობებს, რაც იწვევს ჰაერის აღმასვლას და ღრუბლის ფორმირებას. **ოროგრაფიული ფაქტორები** მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სეტყვის შემთხვევების სივრცით განაწილებაში — განსაკუთრებით **ალაზნის ველზე, მტკვრის ზემო დინებასა და შიდა ქართლში**.

საქართველოს სეტყვიანობა სეზონურად მერყეობს და მაქსიმუმს აღწევს **მაის-ივნისის თვეებში**, რაც ემთხვევა კონვექციური აქტივობის სეზონურ პიკს. დასავლეთ საქართველოში სეტყვიანობა შედარებით ნაკლებია, მაშინ როცა აღმოსავლეთში, განსაკუთრებით შიდა რეგიონებში, სეტყვიანობა გაცილებით ხშირია — ეს გამოწვეულია შავი ზღვის ტენიანი ჰაერის შემცირებული ზემოქმედებით და კონტინენტური კლიმატური პირობებით.

ამრიგად, სეტყვიანობის გამომწვევი ცირკულაციური პროცესები საქართველოში წარმოადგენს გლობალური, რეგიონული და ლოკალური მასშტაბის ატმოსფერული მექანიზმების კომპლექსს. სეტყვიანი ამინდი ძირითადად დაკავშირებულია ციკლონურ და ფრონტალურ სისტემებთან, მეზომასშტაბურ კონვექციურ აქტივობასთან და ოროგრაფიულ პირობებთან, რომლებიც ხელს უწყობენ ძლიერ ვერტიკალურ დინებებსა და არასტაბილური ატმოსფერული შრეების განვითარებას. ამ პროცესების ეფექტიანი პროგნოზირება და კვლევა უმნიშვნელოვანესია სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვასა და მის სწორად წარმართვაში.

ქვემო ქართლის წაყინვების მრავალწლიანი სტატისტიკა და თანამედროვე ტენდენციები

კაპანაძე ნაილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: წაყინვა, უყინვო პერიოდი, ვეგეტაციური სეზონი.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებიდან, წაყინვა წარმოადგენს. წაყინვა არის ვეგეტაციის პერიოდში, დადებითი საშუალო დღეღამური ტემპერატურის ფონზე, ჰაერის ან ნიადაგის ტემპერატურის ვარდნა 0°C -მდე, ან უფრო ქვემოთ. იგი ძირითადად უღრუბლო წყნარ ამინდში ვლინდება და განსაკუთრებით შესაძინევი ხდება მშრალი განედებიდან არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრის დროს, მაღალი ატმოსფერული წნევის, მაღალი ეფექტური გამოსხივებისა და დაბალი ქარის პირობებში. წაყინვები, როგორც წესი, შეინიშნება გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

განსაკუთრებით საშიშია გვიან გაზაფხულის და ადრეული შემოდგომის წაყინვები, რომლებიც ემთხვევა მცენარეთა აქტიური ზრდის პერიოდს. ქვემო ქართლში ადგილი აქვს მხოლოდ სუსტ და ზომიერ წაყინვებს, თუმცა წაყინვების საშიშროების ხარისხი დამოკიდებულია არამარტო ინტენსივობაზე, არამედ მათი დადგომის ვადებზე, ხანგრძლივობაზე, მცენარეთა განვითარების ფაზაზე, ადგილმდებარეობის რელიეფურ პირობებზე და სხვ.

მრავალწლიური საშუალო მონაცემების მიხედვით ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გაზაფხულის ბოლო წაყინვები დაბლობ რაიონებში 1000 მ სიმაღლემდე (თბილისი, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი) საშუალოდ მარტის ბოლოდან იწყება და 2 აპრილამდე გრძელდება. ხოლო მაღალმთიან ზონაში, 1000 მ-ის ზემოთ (თეთრიწყარო, მანგლისი, დმანისი, წალკა) 15/ IV - 2/V შუალედში აღინიშნება.

შემოდგომის პირველი წაყინვები ქვემო ქართლის რეგიონის დაბლობ რაიონებში (1000 მ სიმაღლემდე) საშუალოდ მერყეობს 3/XI - დან 16/XI-მდე (მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, რუსთავი, თბილისი შესაბამისად), ხოლო 1000 მ ზემოთ (წალკა, დმანისი, მანგლისი, თეთრიწყარო) - 10/X-1/XI შუალედში.

უყინვო პერიოდის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა (დღე) აღინიშნება თბილისში - 236 დღე, რომელსაც მოჰყვება რუსთავი 229 დღით, ბოლნისი - 224, გარდაბანი 219, მარნეული - 215 დღით. ყველაზე მცირე ხანგრძლივობის უყინვო პერიოდი დაიკვირვება წალკაში - 160 დღე. უყინვო პერიოდის რეკორდულად ხანგრძლივი მაჩვენებელი თბილისში დაფიქსირდა (327 დღე), ყველაზე მინიმალური - წალკაში (126 დღე). გამოდის, რომ სიმაღლის ცვლილების მიხედვით იცვლება როგორც გაზაფხულის ბოლო წაყინვის შეწყვეტისა და შემოდგომის პირველი წაყინვის დადგომის თარიღები, ისე უყინვო პერიოდის საშუალო, უმცირესი და უდიდესი მნიშვნელობები.

კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე (2007–2022 წწ.) შეინიშნება თბილისსა და ბოლნისში გაზაფხულის წაყინვების წინ გადაინაცვლება შესაბამისად 6-5 დღით და შემოდგომის წაყინვებისა - 12-9 დღით გვიან. წაყინვის საშუალო მნიშვნელობების წანაცვლებამ თბილისსა და ბოლნისში გაზარდა უყინვო პერიოდების ხანგრძლივობა შესაბამისად 18 და 14 დღით, თუმცა მაღალმთიან ზონაში (წალკა) საპირისპირო ეფექტი შეინიშნება.

ამრიგად, ტენდენცია მიუთითებს ვეგეტაციური სეზონის გახანგრძლივებაზე, რაც როგორც აგრარული პოტენციალის ზრდას (მრავალჯერადი და მრავალფეროვანი მოსავალის მიღება), ისე ეკოლოგიური რისკების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

**ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდია სახ.
გეოფიზიკის ინსტიტუტში დიდ საღრუბლო კამერაში ატმოსფერული
პროცესების მოდელირების ექსპერიმენტული სამუშაოების განვითარების
პერსპექტივები**

ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ.
M. Nodia Institute of Geophysics of the I. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
avtandilamiranashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: დიდი საღრუბლო კამერა, ექსპერიმენტული მოდელირება, ატმოსფერული პროცესები.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მიხ. ნოდია სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროკამერის დიდი საღრუბლო კამერა (ნისლის კამერა, აეროზოლის კამერა) უნიკალური, რთული საინჟინრო ნაგებობაა, მსოფლიოში უპრეცედენტო, ჩაშენებული გამორჩეულ არქიტექტურულ შენობაში, რომელიც დააპროექტა ცნობილმა არქიტექტორმა ვ. ურუშაძემ. კამერა წარმოადგენს ვერტიკალურ ცილინდრს კონუსური ფუძით. კამერის მოცულობაა 260 მ³, საერთო სიმაღლე 17 მ, ცილინდრული მონაკვეთი 13 მ სიმაღლისაა, დიამეტრი 4.6 მ, ხოლო ორი წრიული ფორმის კამერაში შესასვლელი თითოეული 0.8 მ დიამეტრისაა. კამერის თავზე მიმაგრებულია ვერტიკალური მილი, რომლის სიმაღლე 20 მ და დიამეტრი 1 მ-ია. მთელი კონსტრუქცია დაფარულია თბოიზოლაციის მასალით, რაც საშუალებას იძლევა ექსპერიმენტები ჩატარდეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ტემპერატურაზე. ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა 1972 წელს.

